ა(ა) ი პ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

08.10.2012 №129

თბილისი

სტუ-ს ნიკო მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი
მათემატიკის ინსტიტუტის ვაკანტური სამეცნიერო თანამდებობის დასაკავებლად
კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, „მეცნიერების, ტექნოლოგიების და მათი განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ნიკო მუსხელიშვილი სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის დებულებისა და ინსტიტუტის დირექტორის 2012 წლის 28 სექტემბრის №02.02.2/77 წერილის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. ჩატარდეს, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტის ნიკო მუსხელიშვილი სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებელი კონკურსი დანართი №1-ით განსაზღვრულ ვაკანტურ თანამდებობებზე.
2. კონკურსში მონაწილეთა განაცხადების მიღება დაიწყოს 2012 წლის 9 ოქტომბერს და დასრულდეს 2012 წლის 31 ოქტომბერს. საბუთები მიიღება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ნიკო მუსხელიშვილი სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის. (მის: აკურის ქ.№8 ტელ: 2 33 24 38), 10 საათიდან – 17 საათამდე, (შაბათ-კვირისა და უქმე დღეების გარდა).
3. კონსურსი შედეგები გამოცხადდეს 2012 წლის 2 ნოემბერს.
4. განცხადება კონკურსის ჩატარების შესახებ, დადგენილი წესის შესაბამისად გამოქვეყნდეს პრესაში და განთავსდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ გვერდზე;
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

რექტორი ა. ფრანგიშვილი

ვიზა:
იურიდიული დეპარტამენტის
უფროსი ბ. მაისურაძე

დანართი №1.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ნიკო მუსხელიშვილი სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებული საკონკურსო ვაკანტური თანამდებობების ნუსხა და კონკურსისათვის წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი

- გამოთვლითი მეთოდების განყოფილება

1) უფროსი მეცნიერი თანამშრომელი - 0.5 საშტატო ერთეული
2) მეცნიერი თანამშრომელი - 1 საშტატო ერთეული

- ალბათურ-სტატისტიკური მეთოდების განყოფილება

1) მთავარი მეცნიერი თანამშრომელი - 2.5 საშტატო ერთეული
2) უფროსი მეცნიერი თანამშრომელი - 0.5 საშტატო ერთეული

- მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, თუ მას აქვს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხი
- უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, თუ იგი არის დოქტორანტი ან აქვს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხი
- მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, თუ მას აქვს მაგისტრის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხი

კონკურსში მონაწილეობის მსურველმა საკონკურსო განცხადებას თან უნდა დაურთოს:
- განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
- კალენდარული ავტობიოგრაფია;
- დასაკავებელი თანამდებობის შესაბამისი აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;
- გამოქვეყნებული, მათ შორის ბოლო 5 წლის განმავლობაში, სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი;
- ერთი სამეცნიერო ნაშრომის ასლი, რომელიც განმცხადებლის აზრიტ უკეთ წარმოაჩენს მის სამეცნიერო პოტენციალს;
- შესაბამისი დარგის სამი მეცნიერის საკონტაქტო ინფორმაცია, რომელტაც სეიძლება რეკომენდაცია გაუწიონ განმცხადებელს (სასურველია);
- სამეცნიერო გრანტებისა და სამეცნიერო მოღვაწეობასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტაციის ჩამონათვალი (სასურველია);